

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომ. — ერთი შაურნი.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ივერიის

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებებთან დასაბუღებლად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამაგრც. საზოგადოების კანტელარიას.
ფასა განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეორეზედ — 8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

ყოველდღიური ივერიის პრესის
გაზეთის გაყიდვის მონაწილეობის გადასახადი
და დაკრძალვა ღირსის თხოვნისა და უზოგადოების გამო 10
მარტისათვის იქნება გადასახადი.

სასულიერო მთავრობის ნება-
ართით უმადო კომიტეტი გან-
სვენებულის იმერეთის ეპის-
კოპოსის გაბრიელის სახელ-
ზე ააადრეოთი სიონის (მრ-
თის ან ორის) დაარსებისათვის
კარგო უფროსებათა საზიარო
ფონდის უმსახურებლად. კომიტე-
ტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც
არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმი-
თაც სურთ დაამტკიცონ, — რომ მათ
გულში ცხოველ არს ხსოვნა და პა-
ტივისცემა ამ დაუფიქარი მოძღვარ-
თა მოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი
წვლილი ამ წმიდა საქმისათვის. შე-
მოწოდებულთა რაოდენობა შემომ-
წირველთა სიითურთ გამოცხადებულ
იქნება თავ-თავის დროზე ადგილო-
ბრივ გაზეთებში. შემოწირულებანი
უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:
კომიტეტის თავმჯდომარეს ქუთაის-
ის სემინარიის რექტორს არხიმანდ-
რიტს დიმიტრის.
თავმჯდომარის მკაცრ კომიტეტის წევ-
რი დეკანოზი გ. ცაგარეაშვილი.

გაზეთებში დასტამბულია წერილები
ქუთაისის გუბერნიის უნუგუშო მღვ-
მარეობისა და დაზარალებულთათვის
დახმარების აღმოჩენის საჭიროების
შესახებ.
* * * საერო განათლების მინისტრ-
მა შეატყობინა კავკასიის სამოსწავ-
ლო ოლქის მზრუნველს, რომ საე-
პარქიო სასწავლებელთა კურს-დამ-
თავრებულთ შეუძლიან შევიდნენ ქა-
ლების გიმნაზიის მერვე კლასში უე-
გზამენოდ.
* * * სატახტო ქალაქის გაზეთების
სიტყვით, სასჯულო საქმეთა სამინი-
სტრო შეუღლა ხანოტარიუსო წეს-
დების გადასინჯვას და ახალის პრო-
ექტის შედგენას.
* * * როგორც ვაზ. „ნოვ. ოზო.“
ეს გაუგონია, „კავკასიის სამეურნეო
გაზეთის“ რედაქტორად ამორჩეულს
ქ. ა. ვერმიშევს უარი უთქვამს.
* * * სამეურნეო სამინისტროს კავ-
კასიაში ეგრედ წოდებულ „ბაჭრასა“
თამბაქოს მოყვანის საქმის გასაუმჯო-
ბებლად კავკასიის სამეურნეო სა-
ზოგადოებისათვის ერენჯიკილამ, დევ-
სენტილამ, აგტეკილამ და მარტაკი-
ნილამ მიღებული თესლი გამოუგზავ-
ნია. პლანტატორებს უფასოდ შეუძ-
ლიანთ მიიღონ თამბაქოს თესლი.
* * * განოვის ქუჩაზედ თავი მოიკ-
ლა ვილაც ხარაზმა. ხარაზი ფრანგი
ყოფილა და გაქირავებულ ნივთიერ
მდგომარეობას მიუყვანია ამ საში
ნელს გარდაწვეტილებამდის.

ახალი ამბავი

* * * ხვალ მოხდება ქუთაისის გუ-
ბერნიის თავდაზნაურთა საგანგებო
კრება, რომელსაც საგანდ აქვს და-
ზარალებულთათვის დახმარების საქ-
მის მოწყობა.
* * * სატახტო ქალაქების უმთავრეს

თაც, რომ სარწმუნოებისა და მორა-
ლის დაკავშირება მიუცილებლად მი-
იჩნია. თუ, მართლაც, მორალს არ
შეიძლება აზრად ჰქონდეს მსწრაფლ-
გარდამავალი კეთილი, არამედ დაუ-
სრულებელის განხორციელებას უნ-
და ელტვოდეს, თუ მისი საფუძველი,
სანქცია, აბსოლიუტუმი, დაუსრულე-
ბელს რასმეში უნდა ვეძიოთ, მაშინ
ავტორი მართალია.
მეორე წერილში²⁾, რომელიც
ბრუნეტეირმა ზემოხსენებული წერი-
ლის შემდეგ დასტამბა, იგი სცდი-
ლობს ეხლანდელს მეცნიერებაში მო-
ხანოს საფუძველი ქრისტიანობრივის
მორალისა. ჩვენი სისხლი გარყენი-
ლია, ამბობს იქ ავტორი, ჩვენ მაი-
მუნების, მხეცების ჩამომავლები ვართ.
შეიძლება ჩვენი ზოგიერთი გარეგანი
ღირსება (სიმრთე, სიღამაზე, მო-
ხერხებულობა, ძალ-ღონე) თან და-
ყოილი გვექონდეს, მაგრამ არსებო-
თი, შინაგანი ღირსებები კი შემდეგ-
ში გვაქვს შეძენილი. ეს აზრი ევო-

ფელეტონი

ცხოვრება და ხელოვნება.
VII
მეცნიერება და სარწმუნოება
დასასრული *)
აქნამდის რაცა სთქვა ბრუნეტეირ
მა ისეთი არა უთქვამს-რა, რომ ვის-
მესთვის ან შესაშინებელი ყოფილიყოს,
ან მოულოდნელი, ავტორი თითქმის
ყოველ თავის ნაწერში¹⁾ იმეორე-
ბდა, მეცნიერებამ ვერ ჩამოგლიჯა
ფარდა საუკუნო საიდუმლოსაო, კა-
ცობრიობას ისევ „მიუწოდებელი“
გამოუცნობელი დარჩაო. ამიტომაც
სარწმუნოებას მიეცა საშუალება ის
ავტორიტეტი დაბრუნოს, რომელიც
გვეგონა, რომ სამუდამოდ დაკარ-
გაო.
არაფერი უცნაური უთქვამს იმი-
*) იხ. ივერია № 42
1) იხ. „მოამბე“ № XII 94 წ. № I,
II 95 წ.

ლიუციის თეორიის ეკუთვნის, მაგ-
რამ ესევე გატარებული ჩვენს სარ-
წმუნოებაში და იგი დამყარებულია
ჩვენი ბუნების ჩამომავლობითი ცო-
დვილობაზედ. საღმრთო წერილი ამ-
ბობს ჩვენ გარყენილი, ცოდვიანი წი-
ნაპრის შვილები ვართ, ქრისტემ თა-
ვი გაიწირა ამ ცოდვილმ ჩვენი და-
ხსნისათვისაო. ამ აზრს სარწმუნოე-
ბისას ღრმა და დიდი მეცნიერული
საფუძველი მისცა ევოლიუციის თე-
ორიამ. ეს აზრი ჩვენი სარწმუნოე-
ბისა ბევრ ფილოსოფოსს აშინებდა,
გონების წინააღმდეგე მიიჩნდათ იგი,
დღეს-კი ისეთ მტკიცე საფუძველზედ
არის დამყარებული, რომ თვით გო-
ნიერებაა. რანაირად გავხდით ადამი-
ანად და რას გვეუბნება ამის შესა-
ხებ ევოლიუციის მოძღვრება? ადა-
მიანობა მაშინ დავიწყეთ, როცა პი-
რუტეობას ზურგი შევაქციეთ და
იმდენზედ სრული ქეშმარიტი ადამი-
ანი ვიქნებით, რამდენადაც დავშორ-
დებით ამ პირუტყვობას, რამდენადაც
გავიწყმენთ სისხლს, მხეცურს ინს-
ტინტებს დავსძლევთ და მოვსპობთ,

* * * როგორც ვაგტყობინებენ, ს.
ცხრუკვეთში (მორაპნის მარაა) ამ
ღირსის თოვლის დროს მოწყვეტილ-
მა ზევამა რამდენიმე კაცი თურმე
იმსხვერპლა.
* * * სამეურნეო მეცნიერებას კი-
დევე ერთი ნაბიჯი გადუდგამს წინ:
პასტერის ინსტიტუტში (პარისში)
ლოქტორს შანტემესს აღმოუჩენია
ტიფის წინაღმდეგი შრავტი. პირველი-
ვე ცდის შემდეგ, ავადმყოფობის მიმ-
დინარეობა შეჩერებულა.
* * * სოფ. მეჯვრისხევი: მთელ
საქართველოს საერთო გლოვასა და
მწუხარებას, ჩვენი სასიქადულო
მწვემთ-მთავრის, სამავალითო მოლ-
ვაწის, ქველ-მომქმედის, მეცნიერის
და სხ., აწ განსვენებულის გაბრიელ
ეპისკოპოსის დაკარგვისა გამო, ჩვე-
ნის საზოგადოების გულ-მტკივნე-
ულობაც ზედ ერთვის, რის გა-
მოც ამ თვის რვას აქაურ უსანეთის
წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდელთ
მამა ზაქარია და დავით გამრე-
კელოვთა მიერ ნეტარ-ხსენებულის
სულის მოსახსენებლად გარდახდილ
იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაე-
სწრნენ ყველა წოდების წარმომად-
გენელნი და აგრეთვე ადგილობრივი
სკოლის მასწავლებელი მოწაფეე-
ბითურთ.
* * * იქიდანვე: ამ საოცარმა ზამ-
თარმა ჩვენი მხარეც დაუზარალებ-
ლად აჩ დაავდო. სოფ. კიტრიული-
დამ წარსულის თვის ერთ-ერთ ნამქ-
რიანს დღეს ორი ოსი გამგზავრებუ-
ლა ბარად, სადაც ცხვარი ჰყოლიათ.
ჩამოვლოლი ბევრს უნახავს ოსინი,
მაგრამ ავლილი კი აღარავის. დღემ-
დის, როგორც ამბობენ, ამათი ვე
ღარა გაუგიათ-რა. საბრალონი ნამ-
ქრების მსხვერპლი გახდებოდნენო.
ს. ქოლოთში თოვლის ზევაგებს
რამდენიმე საბძელი, დარბაზის გვირ-
გვინები და სხ. გაუტანიათ.

მთებში კიდევ დიდი თოვლი სძევს,
თუმცა თბილი ღრები შესაშინებლად
აღნობს თოვლს. გაზაფხულის წყალ-
დილობის შიში მოსალოდნელია.
შემის დიდი სიძვირეა: ყველა
ტყის პატრონები სასტიკ ყურადღე-
ბას აქცევენ, რის გამოც შემის გა-
მოტანა უზიფათოთ მეტად საძნელია
გახდა.
მეჯვრისხევის სამკითხველო იზრ-
დება ნელ-ნელა: კერძო პირთაგან
შემოწირულებანი მოსდის სხვა-და-
სხვა მხრიდან.
კო რ მ ს კ მ ნ დ მ ნ ც ი ა.
ს. კინჩხა. დიდი ხანია, რაც წრე-
განდლისთან დიდი თოვლი არ მოსუ-
ლან ამ ახლა-მასწავ ადგილებში შავის
ფლავის ზიბუბზე, განსაკუთრებით მთიან
და მალა ადგილებში. წრეულს-კი დიდი
თოვლი გვექვია, რომელმაც განუწყვეტ-
ელი სთოვა 12 იანვრიდან 29 იანვრ-
ამდის. ეგრეთვე საშინელმა უეცრად
მოსულმა თოვლმა ხალხს ძლიერ შე-
წუხა; სახლების გადათოვლას ვერ ასწ-
რებდნენ; მეზობლებში მისვლა-მისვლას
შეკრული იყო სამი-ოთხი დღით. უპი-
ნასვლელად თოვლი ქვეს ალა-ნახვეარ-
ზე დასდებ. მეზობლის გაჭირვება მე-
ზობელს არ ესმოდა; ყანადა ბევრი
მოიტანა. წარსულ წელთა მსუბუქ ზა-
მთარეს ნახვევი ხალხს მთლად მოწყ-
ვებლად დაჩვენს სასამთროდ შემთ
და ზირტუკის საკეპითა. მთელი შე-
მოდგომა წამით და ცუდის ამინდ-
ებით გაედა; ამის მიყენით ხალხს
სეფტარეა დაჩვენს. ბუქის სახლი გა-
დუსილას და ძლიერ ცოცხლებს მეზობ-
ლებს მამართეს; ზოგის სახლები დაამ-
ტრია და დაქცია. კველსიებს დიდი
ზიანი მისცა. მაგ. ერთი კველსია,
ქვის შენობისა, შუაზედ გაგადაჯა. სა-
უბედურა შეიქნა წრეგანდაე თოვლი,
სამეტურ მათთვის, ვინც ფერდობსა და

კლდის ადგილებში იყენენ მისასლებულ-
ნი და მწვემსისათვის, რომელთა უმ-
რავლესობაც ტარეთ ათქვს თითქმის
დაძეს ცხვართან და საქანელთან ერ-
თანდა.
მა ერთი უბედური შემთხვევა, რომ-
ელიც მოხდა 20 იანვრს ს. ბორა-
წინას, ამავე კინჩხის საზოგადოებაში,
სენაგის მარაში. ეს სოფელი ფერდო-
ბისა და კლდის ადგილებზე გაშენებული.
შაბათს, შუადღეზედ, კლდემდამ მოსხლე-
ტილა თოვლი, შეკუთებულა ნისლიანი, გა-
დიდებულა და სოფლისაკენ დაშებულა.
ამ საშინელმა ნისლიანმა წაგლეკა გლეხის
სიმამ ჩხეიძის სახლი, ბუქელი, მარანი
და მთელი ოჯახობა. რვა კაცის სული
ამ ოჯახისას იმსხვერპლა. გადარჩა მხო-
ლოდ ოთხი კაცი, რომლებიც ფერდო-
ბისაში მიდგომულს ქვის შენობის ოთხ-
ხედა დაჩვენდნენ. ზირტუკი 30-ი სუ-
ლი, მრავს და ხარბ, ზოგი იქ დაქს-
რისა და ზოგი ცხენის წყაღში გადა-
ვარა. ამავე ნისლიანმა მისხვერპლა გლე-
ხის დამიტრი კუ ხალაშვილის ოჯახობა და
სახლ-გარბი, სამი გოგო და ორი კაცი,
და თათხმეტი სული მრავს და ხარბი.
ერთი სიტყვით, როგორც მარწმუნებენ,
მდ. ცხენის წყაღი ოთხ საათში გაგუ-
ბული ყოფილა ნისლიანისაგან. გადარ-
ჩენილან ამ უკანასკნელ ოჯახში ოთხი
ქალი და ორი ვაჟი ერთის გოგოს
წყალობით, რომელიც ამ უეცრს შემ-
თხვევას გადაჩვენია. საწყადა იმდენსა
ცდილა, რომ თოვლიდან ამოუყვანია:
დედა, ორი და და ორი მძა, სხვების
შეკლა ვერ შეუძლია. ნისლიანმავე დაღუპა
დამით თვისი მწვემსისა ამავე სოფლის და
ღეუდის ს. სახლგარბე მცხეკრები ს.
თაის გლეხნი დავით და ანდრას თა-
ფუბი თავისის თხის ვოგით. ამავე
დღეს დაუწყეს ქვის და ნახეს ერთი
მკვდარი და ერთიც ცოცხალი, რომელიც
მეორე დღეს გარდაიცვალა. ახლანდელს
თოვლის წყაღმა შეგავწყნა. ტაფისის გა-
მა ფენით გაგებ შეუძლებელია. დღეს-

2) La moralité de la doctrine évolutive R. d. d. M. 1 მისი, 95 წ.

დღეობით, რა თუკრავა დადგა, თორე-
ლმა ზატარა კვება იყო, მაგრამ მცხ-
გრებმა მანქანა დიდად შაშვი არაან. ამ-
დენა თორეის წყადა ბეგრს ზიანს მო-
გვიტანსო.

რაჟენ ქ-ნიძე

1896 წელი, თებერვალს 11 დღე.
ს. ვინჩა.

ნარკვევა

(უზრალ-გაზეთებში).

«ნოვოსტია» გაუწყვებს, რომ ჰე-
ტერბურგის ოლქის მზრუნველმა კა-
პუსტინმა შეადგინა კომისია, რა-
მელსაც უნდა გადაესინჯა სახალხო
განათლების სამინისტროს ხელმძღვა-
ნელობით სასწავლებლების ეხლან-
დელი პროგრამა. ამ კომისიის მუ-
შაობამ გასტანა 1894 წლის განაფ-
ხულამდე. შეიძლება ახალი პრო-
გრამა და ასახსნელი წერილებიც
წაუშდებოდეს.

მეღე კნეზამ უმათავრესი ყურად-
ღება უნდა მიექცეს მწერალთა ნა-
წერებს და მათ რიგანად გადათარგ-
მნას რუსულს ენაზე, ხოლო გრა-
მატიკა მეორე ადგილზე უნდა იქმ-
ნეს დაყენებული. ამას უნდა ასწავ-
ლიდენ მხოლოდ იმდენხე, რამდენ-
იც აუცილებელი საჭიროა მწერალ-
თა საკითხავად. სრულიად უნდა მო-
სპონ ეგრედ წოდებული „ექსტემ-
პორალიები“ (რუსულიდან ლათინ-
ურ და ბერძნულ ენაზედ თარგმე-
ვის წერა). ნაცვლად შემოიღეს წე-
რით ვარჯიშობა, რომლის დროსაც
მოსწავლეთ შეუძლიანთ იხმარონ
ლექსიკონები, რომელშიაც მასწავ-
ლებლებიც უნდა ეხმარებოდნენ მათ.

რუსულს ენიდამ ძალიან შემცირე-
ბულია ძველი მწერლების შესწავლა ღ-
სხვა გვარად არის განაწილებული რუ-
სული ლიტერატურის შესწავლა სხვა
და სხვა კლასებში. განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება აქ წერას აქვს მი-
ქცეული. საეკლეზიო—სლაფური
ენის შესწავლა თვალ საჩინოდ შე-
მცირებულია ეგრეთვე სავალდებუ-
ლოა ლიტერატურული სჯაბაასის
გამართვა რომელსაც დიდი მნიშენ-
სისხლ-ხორცებული არსებითი მისწ-
რავება, ლტოლილება ჩვენის გვა-
რის ტიპი საუკეთესოდ გარდაქმნათ.

კლოდ ბერნარი ამბობს: «ყოველ
თესლითა ეს ლტოლილება თავისი
გვარის ტიპის განხორციელებისა,
მთელს ბუნებაშია ღრმად ჩანერგილი
ეს მისწრავება ერთის გამოკვეთლის
აზრისადმი».

ესეც ხომ ისევე ქრისტიანობის
აზრია. ჩვენი სარწმუნოება აღიარებს
„განგებას“—განაგრძობს ავტორი—
მე ამ სიტყვას უფრო ფილოსოფი-
ურს მნიშენლობას ვაძლევ და ისე-
კი არ მესმის, რომ ვითომ უიმისოდ
არ ძალ-გვიძს „ერთისა თმისა განს-
პეტაკებად, გინა დაშავებად“. სტო-
იკები ამბობდენ: „სული ასახრო-
ებს ჩვენს შინაგანს ბუნებას, ხოლო
გონება ორგანიზმის ყოველს ნაწილ-
შია გაფანტული და სხეული მოჰყავს
მოძრაობაში“.—აი ჩემი წარმოდგენა
„განგებაზედ“ ამგვარიაო.

ანაირი შეგება განგებისა ბევრით
წავავს იმ „ორგანიული პლანის“
თეორიას, რომელიც ზემოდ მოვიხ-
სენით. ამგვარად ევოლიუციის თე-
ორიაში ქრისტიანობრივი მორალის
წინააღმდეგ ვერას ვხედავთ, არამედ
მისი უმათავრესი აზრების საფუძველს

ლობა აქვს მოსწავლეებისათვის.

გეოგრაფიამ და ისტორიამ-
მაც ძალიან შემცირებულია კურსი,
რათა მეტის-მეტად არ დაამძიმონ
ყმაწვილების მესხიერება. მეშვიდე
კლასში, როცა ძველ ისტორიას
იმეორებენ, სავალდებულოა განსა-
კუთრებული ყურადღება მიაკციონ
ხელოვნების და პოლიტიკური დაწე-
სებულების შესწავლას. გეოგრაფია
უნდა განივირონ უფროს კლასებ-
ში ცოტ ცოტაობით იმდენხე, რამ-
დენადაც ისტორიისათვის საჭიროა.

მატიკაშია და ფიზიკის კურსი
სხვაზედ ნაკლებ შემცირებულია, მაგ-
რამ აქაც არსებითი ცვლილება მო-
უხდენიან და ეს საგნები უნდა შე-
ასწავლონ ხალხმ მასწავლებლებმა
თვით ვაკეთილად დროს.

პროგრამის კობო გაუგზავნეს
ყველა გინაზიებს და საუბრაგოგო
საბჭოს ურჩევენ შემდგენლები ეცა-
დეთ კიდევ უფრო შემოკლებულ იქ-
მნეს საგნების კურსითა. ამათ უნდა
წარადგინონ თავიანთი აზრი ამ გა-
ზაფხულზედ, რათა მომავალ სექ-
ტებშიდამ ახალი პროგრამებით და-
აწყებინონ სწავლა. ვულოცავთ ჩვენს
ახალგაზღობას ასეთს დიდ ცვლილე-
ბას სასწავლებლების პროგრამაში.

უცხოეთი

იტალია. პარლამენტის წრებში
დიდი მოძრაობა დაიწყო აფრიკის
ექსპედიციის წინააღმდეგ. კალაბრია
სიტყვა წარმოსთქვა კასტროჯივანში
იმის შესახებ, თუ ახალშენების საქ-
მებში რა შეცდომები შეჰპარგია
სამინისტროს; იმბრიანი ესტში აპი-
რებდა სიტყვის წარმოთქმას, მაგრამ
პოლიციამ ნება არ მისცა მიტინგის
გამართვისა. 1-ლ მარტისათვის პარ-
მშია მიტინგი დანიშნული ერიტრე-
აში ბრძოლის განგრძობის წი-
ნააღმდეგ; როგორც ფიქრობენ, ამ
მიტინგზე პარლამენტის ყველა სა-
ობოზიკო ელემენტები მოიყრიან
თავს. მილანში ეგრედ წოდებული

ვბოლოობთო. მათში უფრო თანხ-
მომა სუფევს, არსებითი თანხმობა,
მხოლოდ ვარეგანი უთანხმოებაო.
ეს კი უნდა დავძინოთ, რომ ევო-
ლიუციის მორალი, თუ მარტო ამ
თეორიისზედ იქნა დაფუძნებული, სუს-
ტი იქნება, სხვაგან უნდა მოსძებ-
ნოს საფუძველი, თორემ ჩვენი მხე-
ტური ჩამომავლობა ვერ დავისახავს
ნამდვილს და ქეშმარტს „მოვალეო-
ბასა“; ჩვენი გვარის მომავალი გაუმ-
ჯობესობა ვერ იქნება კარგი «სან-
ქცია», რომელსაც შეეძლება ამ
„მოვალეობის“ აღსრულების უზრუნ-
ველ ყოფა.

აკი მოგახსენეთ, თუ ავტორი მო-
რალისა და სარწმუნოების შეთანხმე-
ბას სცდილობს თვით მეცნიერულს
ნიადაგზედ; თუ ავტორი აღიარებს,
რომ მეცნიერებამ „მიუწოდებელი“
დაგვიტოვა აუხსნელიო, აქ ისეთი
არა უთქვამს-რა, რომ მისი ნიჭიე-
რებისა და მეცნიერობის ჩიკის მო-
მცხები იყოს და არც ისეთი, რაც
მაზედ უკეთესს, თვით მეცნიერების
ბურჯებს არ ეთქვაო. სპენსერს ვე-
რავინ შესწავებს მეცნიერების მტრო-
ბას, მაგრამ იმანაც კი დიდი ხანია
რაც აღიარა, სანამ „მიუწოდებელი“
დავგრჩება, სარწმუნოების მთავარ

აფრიკის-მოწინააღმდეგე კომიტეტი
დიდს მანიფესტაციას მოახდენს; მა-
ნიფესტაციის აზრად აქვს ურვენოს
სამინისტროს ლომბარდიის პროტეს-
ტი წინააღმდეგ ყოველგვარის სამხე-
დრო მოქმედებისა. მინც ეს მანი-
ფესტაციები სამინისტროს თავისს
პოლიტიკაზე ხელს ვერ აღებენებენ.
კრისპის განზრახვა აქვს გაიხსნება
თუ არა პარლამენტი, პირველსავე
დღეს წინადადება წარადგინოს არა-
ვითარი კითხვა არ იქმნას აღძრული
აფრიკის პოლიტიკის შესახებ და
ავრთვე ის, რომ პირ-და-პირ გადა-
ღებული იქმნას ახალი სამხედრო
კრედიტი განუხილველად იმისა, თუ
ბრძოლის ველზედ რა ამბები ხდება.

რაც უნდა მიიყვლები ვიყვეთ,
რომ კრისპის თავისებურად ესმის
პარლამენტის რეგიონის პირობანიო,—
ამბობს „ინდებენ. ბელუ“-ი,—მინც
ძნელია ეს ხმა დასაჯერებელი იყ-
ოსო. მინისტრთა უმეტესო-
ბა, თუ კი დღემდის არსებობს
იგი, ვერ გაძბედავს კაბინეტს მხარი
დაუჭიროს ამ გარემოებებში, რომ
ლებსაც შეუძლიან ქვეყანა მათ წი-
ნააღმდეგ აამხედრონო.

საფრანგეთი. საბიუჯეტო კომი-
სიის არჩევნებმა, რასაკვირველია,
დიდი სისხარული გამოიწვია ოპორ-
ტიუნისტთა და კონსერვატორთა ეუ-
რალ-გაზეთებში. „ტან“-ი და „უჟ-
რნალ დე დება“ კაბინეტს დამარც-
ხებს უქბდიან და დიდად აქებენ
უმეტესობას, რომელმაც პარლამენ-
ტის 11-ი ბიუროში შემოსავლის
დავარად დადებულ გარდასახლზე
წინააღმდეგობა განაცხადა. რაც შე-
ეება სამინისტროს მომხრეთ, იგინი
ამბობენ, რომ ბიუროს გარდაწყვე-
ტილება პარლამენტისათვის სავალ-
დებული არ არისო და არც იმის
თავდება, რომ იგი მიღებული იქნე-
ბაო. „პტიკა რეპუბლიკ“-ი ამბობს,
რომ არჩევანების ასე დაბოლოება
ლემონ სეს, რუვიეს და რენილის
ინტრიგების გამო მოხდა; ამათ სა-
ბიუჯეტო კომისიის თავი მხოლოდ
იმისთვის დაანებეს, რომ უფრო მო-
ხერხებულად ემოქმედნათო. „ჟუს-
ტიკ“-ი ცუდს ნიშნებს აწერს კომი-

სიის არჩევანს ხსენებულის გარდასა-
ხადის საქმეში; მინც ვაზეთი იმდს
არა ჰყავს, რომ პალატა უარს
არ ჰყოფს ამ საყურადღებო რეფო-
რმას, რომელიც კაბინეტმა წარადგი-
ნა და სენატს გარდასცემს. მრავალი
იმ აზრისაა, რომ პალატის ბიუროზე
მიუხერხის მიერ შლონში წარმო-
თქმულმა სიტყვებმა იქონია გავლენა.
მინისტრმა კაბინეტს რადიკალ-სოც-
იალისტთა სახელი უწოდა და, რო-
გორც ფიქრობენ, ამ გარემოებამ გა-
მოიწვია რეაქცია ზომიერ რადიკალ-
თა შორის, რომლებიც დღემდის
მთავრობას მხარს უჭერდნენო. ამბო-
ბენ, როგორც-კი პარისში დაბრუნ-
დება ბრეტეა, უთუოდ რომელიმე
წარმომადგენელი რადიკალთა პარტი-
ისა პარლამენტში კითხვას შეიტანს,
ფინანსთა საქმეში რა პოლიტი-
კას აღვას სამინისტროს და ეს სა-
განი თითქმის გარდასწყვეტს საგან-
საო.

ინგლისი. ზღვათა მინისტრმა გო-
შენმა ლიუსში მომხდარს უნიონის-
ტების მიტინგზედ, განაცხადა, რომ
ინგლისში ეხლა პარტიობაზედ ალა-
რაგინ ფიქრობსო. უკანასკნელი დრო-
ის შემთხვევებმა ყველა იმპერიის
მდგომარეობაზედ დაფიქრა. ამ შემ-
თხვევებმა დაგვიტკიცეს რომ ბრი-
ტანიის შეილის გული, სიდაც უნდა
იყოს იგი, თუნდა ცხარამთას იქით მა-
ინც სამშობლოსთან მუდამ დაუმო-
რებელიაო. რაცა შეეება მას, რომ
ცოტა უკმაყოფილება მოგვიხდა სხვა
და სხვა ქვეყნებთანაო, მედიატორე-
თა სამართალი და თავიანთობა გა-
მოგვარებებს, მაგრამ ვაი იმ ქვეყანას
რომელსაც აკლია სიმბნე-სიმამაცე
და არა აქვს შეძლება თავისი ქვეყ-
ნის დაფარვისა. საფრანგეთთან სიახის
შესახებ შევანხმდით ორთვე მხარეს
სასამოვნოდ. გერმანიისთან ინგლისი
გვარიანს განწყობილებაშია. უკანას-
კნელმა შემთხვევებმა დაუმტკიცეს
ევროპას, რომ ინგლისი ყოველს
ღონეს მოიხმარებს თავისი ინტერე-
სების დასაფარავად. ინგლისი თუ
განცალკევებულია, ეს მას სხვისი
ძალდატანებით არ მოსვლია, არამედ
თვით მისი სურვილი იყო ესა. ინ-

ცედ ვიფარავთო, ბოლოს-კი მეტის-
მეტ დამოკიდებულებას მისდევს.
რაცა სარწმუნოება მიუცილებე-
ლია, ყველა სარწმუნოებას კათო-
ლიციზმი სჯობიაო, ამბობს ბრუნეტი-
ერი, იგი უფრო გამსჭვალულია სარწ-
მუნობრივი პრინციპით, ვინემ რომე-
ლიმე სხვა სარწმუნოებამო; იგი არის
ერთგვარი მთავრობა, რომელსაც ხა-
ლხის ზნეობრივი ცხოვრების მარ-
თვა-გამგება აქვს მიზნად; როგორც
მთავრობა, დისციპლინას აჩევეს მო-
რწმუნებებს, საზოგადოებრივ გრძო-
ბას უღვიძებს და უმტკიცებს მათ;
ყველა ერთი მეორის ცოდვის მო-
ნაწილედ ხდება, ერთი მეორესათვის
ლოკულომს და ინანიებს ცოდვებსაო.
ეს კათოლიციზმის დაფარვა და
იმით აღტაცება, რასაკვირველია,
ბრავის არ მოეწონებოდა და ისწო-
რედ აქა სჩანს, რომ რომში მოგზა-
ურობას დიდი გავლენა ჰქონია ბრუ-
ნეტეზედ და პაპის ხელზედ ამ-
ბორს, ხომ სასწავლი მოუხდენია:
ფილოსოფოსი გარდამეტებულ მორ-
წმუნე-კათოლიკედ გაუხდია.
როდესაც სარწმუნოებაზედ სჯიდა
ბრუნეტერი, განვივივრობთ, მრავა-
ლი შესანიშნავი და ღრმა აზრი წა-
რმოსთქვა. მაგრამ მაშინ მას არა

გლის არა სურს განსაკუთრებულ
მეგობრულ განწყობილებაში იყოს
რომელიმე სხელმწიფოსთან, ხოლო
თუ კი მოსურვებს ყოველთვის მია-
ღწევს ამას. ბევრი სხვადა სთქვა
გოშენმა, რომლიდაც სჩანდა, რომ
ვითომ რუსეთს სურდეს ინგლისთან
დაახლოება, მაგრამ ინგლისი ყურა-
დღებასაც არ აქცევს რუსეთის ამ-
გვარს სურვილსა.

**შურნალ-გაზეთებში და
წიგნებიდა**
ამოკრებილი ამბები.

— ერთი ინგლისური გაზეთი ამბობს,
რომ ინგლისის ტახტის მემკვიდრე პრინცი
უელსისა ეხლანან გამოდიოდა თურმე ტეატ-
რიდამ და თვალი მოუკრავს, რომ ლონ-
დონის უბანში, რომელიც იქვე ახლოა ტე-
ატრთან, ძალიან დიდი სინათლეა. მივიდა
იქ და შეიტყო, რომ აქცელი წაჰკიდებია
სახლებს და იწვის. აქ დაუხანავს ერთი რე-
პორტიორი გაზეთისა, რომელიც თურმე
აქა-იქ კითხულობდა ცეცხლის გაჩენის ამ-
ბავს; პრინცი მივიდა რეპორტიორთან და
გამოჰკითხა როგორ ატყდა ცეცხლი, რა სა-
ქმნელი დაიწვა, ან ვინ როგორ დაზარალ-
და. რეპორტიორმა, რომელმაც იცნა მემ-
კვიდრე საშულო ტახტისა, ყველაფერი და-
წვრილებით მოახსენა დიდის რიგითა და
თავითა. პრინცი ამოიღო ჯიბიდან პორტ-
სიგარი და უთავაზა სიგარა რეპორტიორს.
რეპორტიორმა ამოიღო ნათავაფეი სიგარა,
მაგრამ არ მოსწია, შეახვია ფიხილად ქა-
ღალდში და უბეში ჩაიღო. „რატომ არ
მოსწიეთ?“ ჰკითხა პრინცი. „იმითრო-
მე, უპასუხა რეპორტიორმა: ვინ იცის რომის-
და მეღირსება მივიღო სიგარა მომავალ ინ-
გლისის ხელმწიფის ხელთაგანო. სჯობს
შევიხანო ეს სიგარა სახსვრავადო“. მაშინ
პრინცი ხელ-ახლად ამოუღია პორტსიგარი,
უთავაზებია სხვა სიგარა და უბრძანებია:
„ხომ არა გნებავთ ინებოთ კიდევ ერთი სი-
გარა, რომ ეხლაც მოსწიეთო“. (6. ვ.)

— პორტუგალიის დედოფალს, რომელიც
დიდს სურვილით სწავლობს მეკრნალო-
ბას, ეხლანან დაუტყვირა ეგზამენი მეკრნა-
ლობისა მეორე კურსიდა მესამეში გადასა-
სვლელად. (6. ვ.)

— რუნიში (საფრანგეთში) სენ-რემენის
ბაზრობა (ფრმარკა) იცის ხოლმე. ამ ბაზ-
რობაზე საღად სად გნებავთ თავს მოიყრი-
ან თურმე ბუნებით დამახინჯებულნი ქალ-
ნი და კაცი და ერთს იქ დამწურეს აუწე-
რია ვგ საოცარნი მახინჯნი. იგი ამბობს,
მე ვნახეო:

აკაი-სპილო, რომელსაც უშვებებელი
ჰქონია არც ერთი სარწმუნოება მხე-
დველობაში, არც პროტესტანტიზმი,
არც კათოლიციზმი, არც ისლამიზმი
და სხვ. იგი სარწმუნოების მთა-
ვარ-აზრს იძიებდა, იმ აზრს, რო-
მელიც ყოველმა ხალხმა თავისებუ-
რად გამოხატა: „შეიძლება რომ ის
სარწმუნოება, რომელიც ჩვენზედ
უფრო ახლო არის, უზჯობესი იყოს
იმავე ევოლიუციის კანონით, რომე-
ლსაც ბრუნეტერი უარს არ ჰყოფს,
წინააღმდეგ თავიანთს ცემის მას.
მაგრამ აქედამ ის დასკვნა არ შეიძ-
ლება გამოიყვანოს კაცმა, რომ კა-
თოლიციზმი იყოს უკანასკნელი სი-
ტყვა კაცობრიობისა ამ სფერაში.
ყოველს სარწმუნოებასა ჰქონდა აზ-
რად იმ „გამოუცხოვების“ რაიმე
ნაირად გამოკვევა, იმ „მიუწოდებე-
ლის“ შეგება, რომლის ახსნა, გა-
მორკვევა მეცნიერებამ ვერ ითავა.
ყოველის სარწმუნოების მთავარ-აზრს
შეადგენდა ქვეყნისა და ჩვენის ცხო-
ვრების დასაბამის შეგება, მიზეზთა
მიზეზის გამოამღვანება, ქვეყნის მსე-
ლემობის აზრის და კაცის ცხოვრების
საგნის გამოკვევა. ყოველი სარწმუნ-
ოების მორალი სწორედ იმანხედ იყო
დამოკიდებული, თუ როგორ ესმოდა
ამა თუ იმ სარწმუნოებას ჩვენი გა-



მეტეული ფენის ყუნთებამდე ჩამოშვებოდა. კაცი-მოგვი, რომელსაც არც ერთი ფენი არა ჰქონდა და საჯდომით იძროდა. ნახევარი საუნჯე მალე ხტებოდა და ისე დამეტეოდა დედა-მიწაზე, როგორც ტომარა. კაცი-ხბოს თავიანი, საბრალოს მოკირებულ ჭითელი ლაქები ჰქონდა სახეზე და ზემოთი მუღამ დრობლიანი ტუჩი ისე ჰქობდა გამოშვებული, რომ სწორედ ხბოა ჰგვანდა. იგი მღეროდა და მოღებნილი იყო.

კაცი დაბადებულთა უხელო, რომელიც მეტეულია სწორად. შემოატყუდნენ ქანარს, ქანარზე დაშვებული იყო პატარა სპილენძის მილი (ტრუბკა), ამ მილში ჩასუბენ კალამს და ეს უხელო კაცი სწორად სახელსა და გვარს იქ დამსწრესს და ამასთან აკლუტად ათამაშებდა მეტეულს.

— ბაშვი უშველემელ თავიანი. ამ ბაშვის ისეთი სახარელი და უშველემელი თავი ჰქონდა, რომ მართა თავი მეტს იწონდა, ვიდრე მთელი მისი ტანი: საწყალი ბაზარში მოყვანის შემდეგ მალე მოკვდა.

— დედა-კაცი იყო, რომელსაც მართა თითო თითი ჰქონდა თითო ხელზედა, მაგრამ წინდის ჩხირს ხმარობდა.

— დედა-კაცი უხელო, რომელიც ფენითა სწორდა და ჰყარავდა. თითები ფენის საოკრად უჯერებდა. ეს დედა-კაცი ყველა მწყურებელს სალამს აძლევდა და ხელს ართმევდა ფენითა.

— ყველაზე სახარელი იყო ორ-თავიანი ახალგაზდა დედა-კაცი. ერთს სახარელ ქობნი იწეოდა იგი თურმე და გამეღულ-გამომეღულს ეუბნებოდა: „მე ეს ორ-თავიანი დედა-კაცი ვარ, რომელსაც გახეობები ამბობენო“. მერე ჩიბქრენდა მხრებ შუა თავს, ჯერ წითლებოდა, მერე ჯიჯირის-ფერის დედებოდა, მერე სულ გაზაფხულებოდა. როცა გაზაფხულებოდა, საფეთქელზე ტყევი აუბურკვლავოდა, სისხლს სავსე კობიტად გაუზდებოდა. ეს კობიტი ლბილი იყო. მყურებელთ ისე აწუხებდა ეს ამბავი, რომ ეხვეწებოდნენ, „კარგი, კარაო“. ამის გამგანნი დედა-კაცი ისევ თავის თავდაბრუნვებს მტვლირებდას მიიღებდა, მხოლოდ საშინლად ჰქმენდა და ოფლს ასხამდა.

— წელს ამ ბაზარში ყოფილა ერთი დედა-კაცი 40-ს წლისა წვერა-უღელავიანი. თავზე მოკლე თმა ჰქონდა და წვერი-კი თითქმის ნახევარ არშინი სიკვით, ზურგი და ხელები სულ ბალნითა აქვს თურმე სავსე. ქმარიცა ჰყავს ერთი ვილაღ ალყურელი ვაჭარი. მუხედულობით სწორედ კარგს მხარბეტიანს ვეჟაკსა ჰყავს თურმე. (პ. ი. ლ.)

Pro domo sua.

ამას წინად „მოამბე“-ში იყო დაბეჭდილი წერილი ჩვენის მსტოვანის

მოუტნობელი წარსული და მიუწლო-მელი მომავალი. ეს შინაარსი ყოველი სარწმუნოებისა, მთელი ფილოსოფიაა, რომელსაც სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ნაირი სახე მიუღია. მხოლოდ მთავარი აზრი შეუტყვეველი დაშთენილა დღესაც. კათოლიციზმმა, როგორც ერთმა გამომხატველმა ამ მთავარი აზრისა, უკვე მოსკვამა თავისი დღე, ეს თვით პაპაც იგონა, და ტყუილა-კი არ მოიწადინა ქრისტეს სარწმუნოების სხვა და სხვა შტოების შეერთება. თუ პაპი შორს მჭვრეტელია უთუოდ კარგად ეცოდნებოდა, რომ თუ ეს სოხდა, მაშინ თავისი ტანტი გაუქმებულად უნდა მიიწინოს. ხოლო თუ ეს იცოდა და მაინც ამ შეთანხმების სურვილს საქვეყნოდ აცხადებს, ეს გვიჩვენებს მის დიდს გამკრახობას, გვაჩვენებს, რომ იგი ქრისტიანების სარწმუნოებით აღსავსეა.

დღეს პაპმა საქრისტიანო ერების შეთანხმება მოიწადინა და ეკვი არ არის ხვალ ყოველი სარწმუნოების შეთანხმებას, შეერთებას მოითხოვენ. ამის მაჩვენებელი მოვიტყუებები უკვე არსებობს. გაიხსენეთ ჩიკაგოში მომხდარი რელიგიური კონგრესისი და

და პატივცემულის მგონის რაფიე-ლის იუბილის გამო, სადაც ბაჩანა და ვაქა-ფშაველა იყვნენ მოხსენებულნი. პატივცემული აგტორი ზემოხსენებულის წერილისა ბ-ნი გრ, ყიფშიძე ამავე აზრს ჩვენზე იმეორებს რუსულს გაზეთში (ნ. ნოვ. ობოზრენიე, № 4139). ბ-ნი ყიფშიძეს ზოგი რამ შეცდომა მოჰსვლია და ამ შეცდომის გასწორება ენდავე საქიროდ მიმაჩნია, რომ შემდგომი ჩვენის ლიტერატურის ისტორიკოსს ავაცილო ეს შეცდომა. თავის პიროვნებაზე საუბარი, ცოტად კი არა, ბევრადაც საშთირაოა, მაგრამ, რადგან საქმე, გარემოებამ მოიტანა, არ შეიძლება, ვინც როგორ უნდა ჩამომართოს ასეთი მოქცევა, ცოტა ხანს ჩემის პიროვნებით არ დავავალო „მსმენელთა ყურნი“.

საქმე ის არის, რომ ათი წელი კი არ არის რაც მე წერა დავიწყე, მეტია; მაშინ გამუდმებით არ ვწერდი და არც შემეძლო, რადგან ჯერ ისევ სკოლაში ვსწავლობდი, შეგირდი გახლდით. წერა დავიწყე 1878-ში კორესპონდენციებიდამ შესახებ ხევსურეთისა და ფშაისა „დროება“-ში. შემდეგ წლებშიც ვბეჭდავდი ფელეტონებს იმავე გაზეთში ხან გამოშვებით; ბოლოში ვაწერდი „ლ. რ. ზ.“-ს; ერთს ფელეტონს მახსოვს კარგად „ლ. რ. ზ.“-ს მაგივრად აწერია „ლ. ზ.“-ს. 1881 დაშლევს თუ 1882 წ., კარგად არ მახსოვს, იბეჭდებოდა ჩემი წერილები ფეედონშით „კათაკმეველი“. საუბედუროდ, სამწუხაროდ ეს გაზეთები ხელთ არა მაქვს, რომ შეითხველს ვუჩვენო ნომერი გაზეთისა; დღესნამდის იმ დროისა შემჩინა მხოლოდ ერთი ნომერი დროებისა (ნ. დროება № 189, 1880 წ. კორესპონდენციას. ხასმატი).

ყურნალ „იმედშიც“ ვბეჭდავდი ლექსებს. რასაკვირველია, იმ ლექსებში ბევრი არა ყრია-რა, იქნება ცოტა რამ-კი ეტყობოდეს ნიშან-წყალი გრძნობისა.

სადავოდ ვახდა აგრეთვე ის გარემოება: ჰქონდა. თუ არა გავლენა ჩვენს ქმებზე—რაზიკაშვილებზე რამაშინ დამეთანხმებო, რომ ეს დრო შორს არ არის. ამ მიმართულებას—სარწმუნოებათა გაერთიანებას—ადგას დღეს ფილოსოფია; ამ მიმართულების შექმნაში მეცნიერებასაც დიდი ღვაწლი მიუძღვის. სწორედ ამიტომ გვიკვირს, რომ ერთი გონიერი დღევანდელ მწერალთაგანი დახატვებულს რასმე ეტანება. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი იყო წუთიერი გავლენა ვატიკანის სახსლის ბრწყინვალეებისა.

მწერლობაში და ზემოხსენებულს ნადიმზედ ეს ადგილი ბრუნეტერის წერილისა თითქმის უყურადღებოდ დასტოვეს და ისეთი კითხვები აღძრეს, რომლის წინააღმდეგი არა უთქვამს-რა ავტორს. ბ. ბ. ბერტლომ და რიშემ, ბრისონმა (პარლამენტის თავმჯდომარემ) და ზოლომ დაიწყეს იმის დამტკიცება, რომ მეცნიერებამ დიდი სარგებლობა მოიტანა (ვინ იყო ამის წინააღმდეგი, არ ვიცი) და მაგალითად მოჰყავდათ სხვა-და-სხვა ტენიკური აღმოჩენანი (რკინის გზები, ტელეგრაფები, ტელეფონები, მრეწველობისა და ვაჭრობის გამაუმჯობესებელი იარაღები). პატივცემულმა მეცნიერებმა სრულიად

ფიელს. რა-კი ეს კითხვა პირდაპირ დაგვიყენეს, მე პირადად სამარცხვინოდ მიმაჩნია, სიმართლით არ აღვიარო ჩემის მხრით საქმის ყოველივე გარემოება.

ჩვენში ძალიან სათაკილოდ და ვინთამ ნიქის დამამცირობლად მიაჩნიათ მწერალზე სხვის გავლენა. მე-კი ეს წესიერ, საღ, ნორმალურ და აუცილებელ მოვლენად მიცნია იმ კანონის ძალით, რომელსაც ჰქვიან კანონი თანდათანობისა. აქ საკვირველი არა არის-რა. გამოჩენილი რუსების კრიტიკოსი ბელინსკი განატყუილად აშობს სახელოვანს რუსების პოეტს პუშკინზე: რომ დერჟავინი არ ყოფილიყო პუშკინი არ იქნებოდა. დღევანელი პოეტები, გენიოსად ცნობილი ხშირად უნიკო პოეტებს ჰბამავდნენ წინაპირველად, მაგრამ იმათ თავისებურებას ეს არაფერს უშლიდა. ზედ-მოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უმისოდ მწერალი ცარიელი, უშინა-არსო არსება იქნებოდა, თუ ამასთანავე იგი ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შთახატკლდეზათა.

რამ უნდა ააქედროს მისი ჩანგი თუ ამ ამბავი არ გავიგონა, ან ლექსი, ან საქმე, გარემოება ცხოვრებისა არა ნახა ამდღევანელი, ან ბუნების მოვლენათ მოუყრუა ყური? აი ეს გარეგანი ფაქტორებია, ხოლო შინა-განი გული განზოვთ, რომელიც ამით ითვისებს, ყალიბში ასხამს. ზღვა-ში ბევრი სხვა-და-სხვა წყალი ერევა, მაგრამ ზღვას მაინც ზღვა ჰქვიან და ზღვაც იმით არის, რომ ყველა იმ მდინარეთ იტევეს, ისინს-ხორცებს და საკუთარს დიდებულს სახელს არა ჰკარგავს. ჩემზე უნდა მოგახსენოთ, ყველაფერს რაც კარგი და ხელირთური რამ დაწერილა ზედ-მოქმედება, ძალა ჰქონია, ალტაცებაში მოუყვანივარ, მომწონებია. რათქმა უნდა თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვაწაირად ააჩქაროა ჩემი გული სხვა გვარად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, თუმც მაშინ შეგირდი ვახლდით, მაგრამ ხა-

უყურადღებოდ დასტოვეს ის, რომ ნასკვი საგნისა აქ არ იყო. საიღამ მოვედით და საღ მივიღივართ, რა ვართ და რა ვიქნებით, რა არის ჩვენი ცხოვრება, ჩვენი სიცოცხლეწამა-ზედ პასუხი მაინც ვერ გვიგვს. ტელეგრაფს მიაქვს ამბავი ქვეყნის ერთის კიდიდამ მეორემდის, მაგრამ რა? მას არ შეუძლია მოგვიტანოს ამბავი ჩვენის წინაპრებისა. რკინის გზას და ცეცხლის გემებს შეუძლიანთ ახალი ამერიკებიც ამოგაჩენონ, მაგრამ წარსულ საუკუნეებში-კი ვერ ჩავახედებ, ვერ გავგაგებინებს, როგორ იყო დასაწყისი ჩვენის ცხოვრებისა.

ამის წინააღმდეგი ვერც მეცნიერებმა სიტყვეს რამე. აი რას ამბობს ბერტლო თავის წერილში, რომელიც ბრუნეტერის საპასუხოდ დასტამა: „მეცნიერებას თავის დღეშიაც არ უფიქრია, რომ უკანასკნელი სიტყვის წარმოქმნა შეუძლია. კარგად ვიცი, რომ ჩვენს დღეშიაც არ შეგვეძლება გამოვიცნოთ ყოველი მოვლენა. თუ სხვა-და-სხვა ურიცხვ მოვლენათა შორის თვით უმცირეს ნაწილს გამოვიცნობთ და გამოვირკვევთ იმითაც კმაყოფილი ვიქმენ-

ლხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდით; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ექარა, თუმც მაშინაც ლექსებს ვწერდი, ანუ, უკეთ რომ ვსიტყვით, ვზღაჯინდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც სტირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისა-გან ყურის დადება და მაშინ ხომ უფრო სამწილო იქნებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მსტოვანმა მოგახსენა რა-კი საერო კილო დაუმევიდრა ლექსებს და ყურნალ „ივერია“ გვადაუთმო, მეც ვამედულება მომემატა. 1883 წლის დასაწყისში დავწერე „შელის ნუკრის ნაამბობი“, დამღევს იმავე წლისა „მოხუცის ნათქვამი“. ორივე ეს ნაწერი ერთად იმავე 1883 წ. წარუდგინე „ნობათის“ რედაქტორს ბ-ნს ანდ. ლულაძეს, მაგრამ ერთს მთავანს, ისიც ნახევარს, „შელის ნუკრის ნაამბობს“ მესამე წელს ეღირსა დაბეჭდვა, ხოლო მეორეს—„მოხუცის ნათქვამს“ არა. იმ ხანებში გამოვიდა „ივერია“ გაზეთად და იქ წარუდგინე. „ნობათის“ რედაქტორის დაწუნებული პოემა „ივერის“ რედაქტორმა ალტაცებით მიიღო. ასე, ეს პოემა სამი, თუ ოთხი წელი უქმად იდვა ნობათის რედაქციაში და მე-კი სოფლიდამ გულის ფანტალოთ თვალ-ყურს ვადევნებდი როდის ვნახავდი იმას დაბეჭდილს. ამაზე თვით ბ-ნი დღესაც არ იტყვის უარს, ან-კი რა საკადრისი იქნება?

უნდა გატეხილი მოგახსენოთ, რომ თუმც არავითარი მზგავსება არ არსებობს და იქნება ვერცა ვის შეენიშნოს „მოხუცის ნათქვამს“ და თ. ილია ჭავჭავაძის „ღმინიტი თავდადებულს“ შორის, მაგრამ ამ პოემის წერის დროს „ღმინიტი თავდადებულს“ ჰქონდა ჩემზე გავლენა, ვიდრე სხვა რომელიმე მშობელ ლიტერატურის ნაწარმოებს, უფრო-კი მის ფორმას...

ასეთია ხშირად საიდუმლოება წები“³⁾.

მრეწველობა და ვაჭრობა განვითარდა, მაგრამ ვინ რა მოიგო ამით? განა თვალსაჩინოდ შეუმსუბუქდა კაცობრიობას ამით სულიერი და ფიზიკური ტანჯვა? არა და არა. მხოლოდ ორიოდ კაცია განცხრო-მაში, დანარჩენი და უსრულებელის, უაზრო უსარგებლო და სულიისა და ხორცის გამათასხირებელს შრომაში ათავებს თავის მწარე სიცოცხლეს. ამას, რასაკვირველია, ვერც იგინი ჰყოფენ უარს, რომელთ-ც ყველაზედ უფრო მოხვდათ გულს ბრუნეტერის სიტყვები. მართალია, კათოლიციზმის ის უაზრო დაცვა, რომელიც ბრუნეტერმა იკისრა, ყველას ეწყინებოდა, მაგრამ ეს ამდენი ყურადღების ღირსიც არ იყო. რაიცა შეეგება მას, რომ ბრუნეტერს დასწამეს, რაღაც პოლიტიკური ხრიკები (ვინთომ კლერიკალობას აპირებდა) ეს სრულიად მოკდებულთა სიმართლეს. ვერც ფანატისკოს კლერიკალებს ასაზოგანა მან თავისი წერილით, რადგან სიტყვა, რომ სარწმუნოებაში

რისა, მოდი რას იზამთ. რად გიკვიროთ? გრ. ლეონ ტოლსტოი შესანიშნავი მწერალია; იმას თვით ტურგენევი უწოდა „დიდებული მწერალი რუსეთისა“ და იცით რასა სწერს თავის თავზე? (ნ. XII ტ.) „მთელს ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ორს რუსის მოაზრე კაცს ჰქონდათ დიდი ზნეობრივი გავლენა, გამიფართოვეს აზრი და ნათლად დამიხატეს ჩემი შეხედულება ქვეყანაზე. ეს კაცები არ იყვნენ არც რუსის პოეტები, არც სწავლულნი, მქადაგებელინი; ეს კაცები იყვნენ და, დღესაც ცოცხალნი არიან, მიწის მუშა გლეხ-კაცი სიუტაევი და ბონდარევი, რომლებიც მთელს სიცოცხლეს მიწის მუშაობას ალევნენ“.

ამას ამბობს ლეონ ტოლსტოი და ვინ იქნება ისეთი თავ-ხედი და გაუგებარი, რომ აქაო და სიუტაევს და ბონდარევის ჰქონიათ გავლენა ტოლსტოიზე, ამიტომ ყველა ტოლსტოის ნაწერები მისი-კი არა, გლეხთა სიუტაევისა და ბონდარევის გონების ნაწარმოებიაო.

თვით პუშკინი ეუბნებოდა ერთს გამოჩენილს საერო ნაწარმოებთა მკრებელს, როცა იგი მივიდა მასთან: იცით, მე თქვენს ლექსებს ვიპარავო. ჩვენებმა რომ ეს ვაიგონონ, დაიძახებენ: „ბოკოს! პუშკინი ქურდი ყოფილა, ხალხისათვის უპარნია ლექსებიო!“ დიად, პუშკინის შემოქმედლობაზე საერო ნაწარმოებთა, ვინც-კი იცნობს რუსეთის საერო ლიტერატურას, დამეთანხმება, რომ დიდი ზედ-მოქმედება ჰქონდა. იმან შეისისხლხორცა ერის სულიერი საღა-რო და ამაშია კიდევ მისი დიდებულება, ამას ნაკლად-კი არა, უდიდეს ღირსებად უთვლიან ჰქვათა მყოფეღნი. თქვენს უმოჩილეს მონა-ზე—ვაქა-ფშაველაზედაც, უნდა მოგახსენოთ, დიდი ზედ-მოქმედება აქვს ხალხურ თქმულებათა. უმეტესი ჩემი პოემები ხალხში გავიწინდი ორ-სამ სიტყვაზეა აშენებული. იქნება ეს ჰირიც იყოს? რა ვქნათ, ასე კია და... ნათქვამია: კაცმა ჰირი მალა, ჰირმა თავი არ დაშალაო.

ვაქა-ფშაველა.

დამტკიცება არაფრის შეიძლება, მხოლოდ რწმუნებააო საჭირო. მის გულწრფილობას-კი ეს მშვენიერი სიტყვებიც ამტკიცებს, რომელიც მისი წიგნაკის ბოლოს არის მოყვანილი: „თუ-კი საზოგადოების წარმატებისა და მისი წინ-სვლისათვის საჭიროა მსხვერპლი, —ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ყოყოთ ამ მსხვერპლის მისატანად. ყველაზედ უწინ ცხოვრებაა საჭირო, ცხოვრება-კი არც ოცნებაა და არც აზრის ვარჯიშობა, არამედ მოქმედება. ავადმყოფი რას დასდევს მედიცინას, ოღონდ-კი მოაჩინეთ. როდესაც სახლი იწვის, ერად ერთი აზრი აქვთ მდგმურებს—ცეცხლის დაქრობა. და თუ გნებავთ უფრო ნამდვილი და უფრო დიდებული შედარება: ომში, რომელსაც აზრად აქვს სამშობლოს დაფარვა, პირალობა უნდა ემორჩილებოდეს საზოგადოებას, აქ პირადისა და საზოგადო უფლებების შედაგებისათვის არც დრო არის და არც ადგილი.“

კიტა.

3) Bevue de Paris. La science et la morale, თებ. 95 წ. გვ. 450.

